



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

სარჩელის წარმოებაში მიღების, მტკიცებულებათა გამოთხოვის,
საქმეში მესამე პირის ჩაბმისა და სასამართლოს
მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ

07 ნოემბერი, 2020 წელი

ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე- ეკატერინე ჯინჭველაშვილი
განხილვის ფორმა-ზეპირი მოსმენის გარეშე

მოსარჩელე-მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“
წარმომადგენელი-უჩა ქირია, სოფიო გახელაძე
მოპასუხე- N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია
დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა


ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში
მიღების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2020წლის 07 ნოემბერს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ (წარმომადგენელი უჩა ქირია, სოფიო გახელაძე) სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე- N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ და მოითხოვა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 5 ნოემბრის განკარგულება N42/2020;
2. დაევალოს N02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიას ხელახლა გადაითვალოს 2020წლის 31 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგები შემდეგ უბნებზე: N03, N09, N10, N15, N19, N23, N24, N28, N30, N32, N33, N35, N39, N40, N41, N42, N43, N66, N73, N76 და N78;

სასამართლომ შეამოწმა სარჩელი თანდართული მასალებით და მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს წარმოებაში.



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია.

ამდენად, დავის საგნიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმული უნდა იქნენ: ვაკის N2 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანი, N09 საარჩევნო უბანი, N10 საარჩევნო უბანი, N15 საარჩევნო უბანი, N19 საარჩევნო უბანი, N23 საარჩევნო უბანი, N24 საარჩევნო უბანი, N28 საარჩევნო უბანი, N30 საარჩევნო უბანი, N32 საარჩევნო უბანი, N33 საარჩევნო უბანი, N35 საარჩევნო უბანი, N39 საარჩევნო უბანი, N40 საარჩევნო უბანი, N41 საარჩევნო უბანი, N42 საარჩევნო უბანი, N43 საარჩევნო უბანი, N66 საარჩევნო უბანი, N73 საარჩევნო უბანი, N76 საარჩევნო უბანი, N78 საარჩევნო უბანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ხოლო ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი საქმის ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით, მოპასუხეს- N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოადგინოს გასაჩივრებულ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები სრულად.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-4, მე-19, 22-ე-25-ე, 26²-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე, 207-ე, 284-ე-285-ე, 445-446-ე მუხლებით

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოს“ სარჩელი მოპასუხე - N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ, მიღებული იქნეს წარმოებაში.



2. №3/7149-20 ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ: ვაკის N2 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანი, N09 საარჩევნო უბანი, N10 საარჩევნო უბანი, N15 საარჩევნო უბანი, N19 საარჩევნო უბანი, N23 საარჩევნო უბანი, N24 საარჩევნო უბანი, N28 საარჩევნო უბანი, N30 საარჩევნო უბანი, N32 საარჩევნო უბანი, N33 საარჩევნო უბანი, N35 საარჩევნო უბანი, N39 საარჩევნო უბანი, N40 საარჩევნო უბანი, N41 საარჩევნო უბანი, N42 საარჩევნო უბანი, N43 საარჩევნო უბანი, N66 საარჩევნო უბანი, N73 საარჩევნო უბანი, N76 საარჩევნო უბანი, N78 საარჩევნო უბანი.

3. საქმეზე დაინიშნოს სასამართლოს მთავარი სხდომა 2020წლის 08 ნოემბერს 15:30საათზე, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებული იქნენ კანონით დადგენილი წესით.

3. მოპასუხეს - №2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოადგინოს გასაჩივრებულ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები სრულად. მოპასუხეს წინამდებარე სარჩელზე შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა 2020წლის 08ნოემბრის 14:00 საათამდე.

4. განჩინება მესამე პირად ჩართვის ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, მხოლოდ საქმეში ჩაბმული მესამე პირების მიერ.

5.განჩინება დანარჩენ ნაწილში არ საჩივრდება.

მოსამართლე



ეკატერინე ჯინჭველაშვილი